საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №216/ნ

2024 წლის 31 დეკემბერი

ქ.თბილისი

,,განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 დეკემბრის №143/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 დეკემბრის №143/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 26/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010020000.22.022.018398) პირველი მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსასვლელად გასაცემი უვადო საშვის ფორმა” (დანართი №13) და „განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსასვლელად გასაცემი ვადიანი საშვის ფორმა“ (დანართი №14) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **ალექსანდრე წულაძე**
მინისტრი